ოქმი:**ო31. 3123230001**
თარიღი:**18/08/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №8

ქ. ლანჩხუთი

15.08. 2023 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილები ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გოგუაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

მოწვეული სტუმრები: მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის, ეკა გუჯაბიძის შვებულებაში ყოფნის გამო, დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის,

განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე“ მომხსენებლად მუნიციპალიტეტის მერის მომართვის საფუძველზე წარმოდგენილია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

2. „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

3. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სს „სილქნეტისთვის“ (ს/კ 204566978) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი

სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

6**.** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

7. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ივლისის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

8. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 24 აგვისტო 12:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების მიღებით ძალადაკარგულად ცხადდება ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილება. დადგენილების პროექტის წარმოდგენილი სახით მიღება, საშუალებას იძლევა წახალისდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო, კერძო და სახელოვნებო სკოლების წარმატებული პედაგოგები. ასევე, ხელოვნების სხვადასხვა დარგის ინდივიდუალური შემსრულებლები, ხელოვნების წარმომადგენლობები, შემოქმედებითი დასების ხელმძღვანელი პირები, სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებული ახალგაზრდები, გრანპრის, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსანი ლაურეატები. აღნიშნული პროექტის ახალი ვერსია ითვალისწინებს და აზუსტებს, როგორც ჯილდოს მიღების, ასევე, პროექტების

თანადაფინანსების მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, რაც უკვე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესაბამის მუხლებში.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.
2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“. 3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ცვლილების საფუძველია ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი’’-ს 209 3 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ცვლილებები, რომელიც ამოქმედდა 2023 წლის 1-ლი აპრილიდან. ნორმატიული აქტით მტკიცდება საჯარიმო ქვითრის - მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის ფორმაც, რაც ენობრივი სისწორის თვალსაზრისით შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საკრებულომ ელექტრონული შტამპი განიხილოს და მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადებული შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია. 2.დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.
3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ცვლილების საფუძველია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათი (N 08-302319430), რომლის თანახმად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესასრულებლად შეიძინა სპეციალური მოწყობილობები, ხოლო აღნიშნული სამუშაოების შედეგად მომზადებული

დოკუმენტაცია უნდა დამოწმდეს შესაბამისი ბეჭდით.

იქედან გამომდინარე, რომ ამ დრომდე მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა შესაბამისი მოწყობილობა საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესასრულებლად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულებით, სამსახურის ფუნქციათა შორის არ იყო გათვალისწინებული, როგორც საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულება, ასევე, სამსახურს არ ჰქონდა შესაბამისი ბეჭედი სამუშაოების შედეგად მომზადებული დოკუმენტაციის დასამოწმებლად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადებული შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების ზრდას, რაც უკვე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესაბამის მუხლებში.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია. 2.დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.
3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების

პროექტი სხდომა გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე წელს, წერილობით მომართა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულმა შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის" (ს/კ 433654397) დირექტორმა ეკატერინე ჩუბინაშვილმა, რომელმაც შპს-ს წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, მისი არსებობის ვადით, ითხოვა ქალაქ ლანჩხუთში, ნინოშვილის ქუჩა N37-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე დაყოფის საფუძველზე არსებული N12 – 8.88 კვ.მ. (ს/კ 27.06.52.141.01.504), N13 – 10.06 კვ.მ. (ს/კ 27.06.52.141.01.505), N14 – 13.09 კვ.მ. (ს/კ 27.06.52.141.01.506), N29 – 29.87 კვ.მ. (ს/კ 27.06.52.141.01.507) ფართების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემა.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო", „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", „ლანჩხუთი საქართველოსთვის".
3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სს „სილქნეტისთვის" (ს/კ 204566978) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განკარგულების პროექტი სხდომა გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის

მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ, გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლიანი ან უსასყიდლოდ, ამავე დადგენილების 36 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს 2023 წლის 3 ივლისს N 531/14-6 წერილით მომართა (კანცელარიის N 10/302318555-30 – 04.07.2023 წ) სს „სილქნეტი“-ს (ს/კ 204566978) საოპერაციო მიმართულების დირექტორმა ვერა დუდუჩავამ, რომელშიც მოთხოვნილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩაზე განთავსებულ 70 გარე განათების კონსტრუქციიდან (საყრდენი ბოძი) 45 ბოძის გადაცემა იჯარით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟისათვის თანდართული სქემატური ნახაზის მიხედვით.

აქედან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, სს „სილქნეტს“ გადაეცეს სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩაზე განთავსებულ 70 გარე განათების კონსტრუქციიდან (საყრდენი ბოძი) 45 გარე განათების ბოძის **ნაწილი - წერტილი** ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟისათვის თანდართული სქემატური ნახაზის მიხედვით და წლიურ საიჯარო ფასის ოდენობად განისაზღვროს თითოეული ბოძის ნაწილ-წერტილისათვის 5 ლარი, ხოლო ხელშეკრულების ვადად 5 წელი.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სს „სილქნეტისთვის“ (ს/კ 204566978) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.
3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4.მომზსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების

მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში მობილიზებულია შემოსავლები 15,155.6 ათ. ლარი, აქედან გადასახადები 6,265.9 ათ.ლარი, გრანტები 7,108.0 ათ.ლარი, სხვა შემოსავლები 1,781.6 ათ.ლარი, შესაბამის პერიოდისათვის გაწეულია 10,452.6 ათ.ლარის ხარჯი, აქედან, შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 3,407.8 ათ. ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით გაიხარჯა 3,876.9 ათ. ლარი.

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 5241,5ათას ლარს, მათ შორის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ნაშთი შეადგენდა 2989,1 ათას ლარს, საიდანაც 2252,4 ათასი ლარი მიიმართა 2023 წლის ბიუჯეტში სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად. ასევე მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად და ინფრასტრუქტურული ობიექტების ნაწილობრივ ან მთლიანად დაფინანსებისთვის გაწერილია 2023 წლის ბიუჯეტში 2683,8 ათასი ლარი .

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ შეადგინა 7808,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (8617,5 ათ ლარი) 72,6 %-ია. 2023 წლის II კვარტალში მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 2293 ათ ლარი შეადგინა, რაც გეგმური მაჩვენებლის (4001 ათ ლარი) 57,3 % პროცენტია. აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები :

1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა -581,1 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია 1550,8 ათ ლარი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური-82.7ათ ლარი.

2. საერთო დანიშნულების ხარჯი : მუნიციპალიტეტის ვალდებულების მომსახურება და დაფარვა -40,8 , ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა -37,5 ათ ლარი.

სარეზერვო ფონდიდან 2023 წლის II კვარტალში მერის ბრძანების საფუძველზე გახარჯულია 33900 ლარი.

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 7703,8 ათასი ლარით, რაც გეგმის 71,0 პროცენტია.

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 991.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 79,4 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 870,9 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა და განვითარებაზე დაიხარჯა 120,8 ათასი.

საგანმანათლებლო ღონისძიებებზე 2023 წლის 2 კვარტალში გაიხარჯა 2451,5 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - 83.9 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებაზე მიმართული იქნა 1739,5 ათასი ლარი, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების დაფინანსებაზე დაიხარჯა 698,7 ათასი ლარი რაც გეგმის 98,9 %-ია.

სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული იქნა 1586,4

ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1686,7 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 94,1 პროცენტი. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 749,2 ათასი ლარი, კულტურის განვითარებას - 820,2 ათასი ლარი, ახალგაზრდობის მხარდაჭერაზე - 16,9 ათასი ლარი.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 508,7 ათასი ლარით 82,4 %-ით ,მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსებას მოხმარდა 85,4 ათასი ლარი, ხოლო სოციალურ დაცვას 423,3 ათასი ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი შეიქმნა 2007 წლის 30 ივლისს. ცენტრი დააფუძნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ (განკ # 32). სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრი აერთიანებს 21 საბავშვო ბაღს, მუნიციპალიტეტში შემავალ 16 ტერიტორიულ ერთეულში, 848 აღსაზრდელი.

2023 წლის იანვრის თვეში მოხდა საბავშვო ბაღების თანამშრომლების ხელფასის ზრდა 100 ლარით. ბაღებში გათბობისათვის შეძენილი იქნა 24,5 ტონა ხის საწვავი ბრიკეტი. 2023 წლის მეორე კვარტალში სულ ათვისებულია 179510 ლარი. მუხლობრივად:

1. შრომის ანაზღაურება - 1183056 ლარი;

2. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 71774 ლარი;

3. ოფისის ხარჯი - 237352 ლარი;

4. კვების ხარჯი - 193188 ლარი;

5. ტრანსპორტის ხარჯი - 16017 ლარი;

6. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 22937 ლარი;

7. სოც. უზრუნველყოფა 2600 ლარი;

8. მივლინება - 3506 ლარი.

9. არაფინანსური აქტივების ზრდა- 9080 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა: 433 000 ლარით. აქედან სუბსიდია_ 383 000 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლები_50 000 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის მიერ 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით სულ გახარჯულია 183 253 ლარი, მათ შორის:

შრომის ანაზღაურება_36 170 ლარი;

შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება_128 184;

სხვა დანარჩენი ხარჯები_18 899 ლარი.

საკუთარი შემოსავლები_ 27 581 ლარი, მათ შორის:

შტატგარეშე მოსამსახურეთა ანზაღაურება_14 080 ლარი;

სხვა დანარჩენი ხარჯები_13 501 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლაში 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით დასაქმებულია შტატით_ 7 თანამშრომელი (მათ შორის 2 ქალი და 5 კაცი), ხოლო ხელშეკრულებით 39 თანამშრომელი (მათ შორის 5 ქალი

და 29 კაცი).

ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი - 2023 წლის ორი კვარტლის ბიუჯეტის გეგმა არის 49.0 ათასი ლარი, შესრულება 43.5 ათასი ლარი. ჯანდაცვის ცენტრში შტატით მომუშავეთა რაოდენობა შეადგენს 17 თანამშრომელს, შტატგარეშე- 4-ს. შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება არის 32.4 ათასი ლარი.

შრ.ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება- 6.9 ათასი ლარი. საქონელი და მომსახურების სხვა დანარჩენი ხარჯი შეადგენს 4.2 ათას ლარს.

საკუთარი შემოსავლების მეორე კვარტლის გეგმა შეადგენს 19.7 ათას ლარს. საკასო შესრულება 12.0 ათას ლარს. შტატით მომუშავეთა შრ.ანაზღაურება არის 8.3 ათასი ლარი. შრ.ხელშეკრულებით დასაქმებულთა - 1.6 ათასი ლარი.

შ.პ.ს. ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“ შეიქმნა მიმდინარე წლის 5 მაისს, ცენტრის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა, ამ სფეროში დასაქმებული ადამიანების მხარდამჭერი პროგრამების მომზადება - განხორციელება. ცენტრის მიერ მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მოხდა მუნიციპალიტეტის მიერ მცირე გრანტების გაცემის პროგრამაში აქტიური თანამშრომლობა და ხელშეწყობა ბენეფიციარებისათვის. ცენტრის ბიუჯეტი შეადგენს 150 ათას ლარს. ცენტრში მეორე კვარტლის მდგომარეობით დასაქმებული იყო შტატით 13 ადამიანი, შტატგარეშე 3 ადამიანი. მიმდინარე წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით, ცენტრის საკასო ხარჯი შეადგენს: შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება 11942 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 2192 ლარი, ოფისის ხარჯი 682ლარის, სხვა ხარჯი 25 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება - 37500 ლარი.

ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების 2023 წლის II კვარტალის დაფინანსება 561,5 ათ.ლარია. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 კულტურის სახლი, 4 მუნიციპალური მუზეუმი, 18 ბიბლიოთეკა და ე. ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრი. კულტურის სახლებში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ბავშვთა საესტრადო წრეები. ამ წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 200 აღსაზრდელი, ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებში ჩართულია 100-მდე მონაწილე.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების 2023 წლის ბიუჯეტი თავდაპირველად განისაზღვრა - 498900 ლარით. მიმდინარე წლის ივნისის თვეში სუბსიდია გაიზარდა 6000 ლარით და 2023 წლის ბიუჯეტმა შეადგინა 513645 ლარი. აქედან: სუბსიდია - 470 700 ლარი, საკუთარი შემოსავლები ნაშთის ჩათვლით - 43645 ლარი. (ნაშთი-9445 ლარი). საბიუჯეტო სახსრები II კვარტალში გაიხარჯა- 224339 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრში ექვსი თვის მონაცემებით ირიცხება 65 თანამშრომელი, აქედან შტატით - 9 თანამშრომელი, ხოლო ხელშეკრულებით -56 თანამშრომელი. ცენტრს ემსახურება 26 მწვრთნელი, რომლებიც გაერთიანებული არიან სპორტის 10 სახეობაში და ავარჯიშებენ, როგორც ქალაქის, ასევე სოფლის სკოლების 387 მოსწავლეს. 2023 წლის დაზუსტებული წლიური ბიუჯეტი არის 609 400 ლარი, ფაქტიურად, ექვს თვეში დახარჯულია 295 107 ლარი.

ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტით განისაზღვრა 2799100 ლარი, ფაქტიური ხარჯი 1134746.27 ლარი. საკუთარი შემოსავლებით დამტკიცდა 7200 ლარი, ფაქტი -3200 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტით - 2791900 ლარი, ფაქტიური ხარჯი -1131546.27 ლარი. აქედან, შრომის ანაზღაურებაზე გეგმით -311000 ლარი, ფაქტიური ხარჯი 147970 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გეგმით - 1180200 ლარი, ფაქტიური - 615230.74 ლარი, მივლინება გეგმით - 1100 ლარი, ფაქტიური ხარჯი - 660 ლარი, ოფისის ხარჯი გეგმით - 218000 ლარი, ფაქტიური ხარჯი --50016.63 ლარი, რბილი ინვენტარი გეგმით --15000 ლარი, ფაქტიური - 2110 ლარი, სამედიცინო ხარჯი გეგმით - 1500 ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა - შენახვის ხარჯი - 915900 ლარი, ფაქტიური ხარჯი 287137.65 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლი - 124000 ლარი, ფაქტიური ხარჯი 20703.2 ლარი, არაფინანსური აქტივების მუხლი - გეგმა 25200 ლარი, ფატიური ხარჯი 7718.5 ლარი.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ივლისის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2023 წლის ივლისის თვეში საბიუჯეტო შემოსულობებმა შეადგინა 2763566.2 ათ. ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 1387472.03 ათ. ლარი; შემოსავლები კაპიტალურის ჩათვლით მიღებულია 1376094.17 ათ. ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 59.4 %. მათ შორის დამატებითი ღირებულების სახით მიღებულია 990612.63 ათ. ლარი, საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადი მიღებულია 45914.58 ათ. ლარი, სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 337839.43 ათ. ლარი, მათ შორის - ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 2060.37 ათ. ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით მიღებულია 31198.21 ათ. ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 66,9 %.

2023 წლის ივლისის თვეში გაწეული იქნა 18639915 ლარის ხარჯი. მათ შორის - შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 4130453 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 1609895 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 4429249 ლარი; სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 602349 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 6493254 ლარი. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლების დინამიკა მიმდინარეობს ნორმალურად და ყველა ვალდებულება შესრულებულია.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ივლისის თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ივლისის თვის შესრულების ანგარიში.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ დასრულდა ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩოლობარგში არსებული სამკითხველოს დაპროექტება. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილების განხორციელებისას აუცილებლად უნდა მოხდეს აღნიშნული სამკითხველოს რეაბილიტაციისთვის დაფინანსების გათვალისწინება.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი